საქართველოს სოც.-ფედერალისტთა სარევოლიუციო პარტია
დრ. მთავარ კომიტეტის ორგანო

სოციალისტ-ფედერალისტი

ოთხშაბათი მაისი 4
1921 წ.
ფასი 100 მანეთი

რედაქციის მისამართი:
დამფუძნებელი კრების ქ. № 6
ტელეფონი 12—29

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღრმად დამწუხრებულნი: მეუღლე ვარდიკო, რძალი ვერა და შვილი გიორგი აუწყებენ ნათესავ-ნაცნობთ და ამხანაგებს, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ აპრილის 30-ს უდროოდ გარდაიცვალა მათი საყვარელი

დომენტი მიხაილის ძე თალაკვაძე

რომლის დაკრძალვა მოხდება კუკიის სასაფლაოზე მაისის 4-ს, ხოლო ბინიდან (ბათომის ქუჩა № 2) გამოსვენება ნაშუადღევის 3 საათ. 933

მიხაკო და კეკელა ფაჩუაშვილები შვილებით [illegible] აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ხუთშაბათს, მაისის 5 სოფ. ხიდისთავში გადახდილ იქნება ორმოცის პანაშვიდი უდროოდ დაკარგულ

ლადიკო მეგრელიძის

სულის მოსახსენიებლად. 932

ფურცლები

20.

1—26 მაისი.

პირველი მაისი, როგორც სოციალისტური მოძრაობის ემბლემა, ჭაღარა მოსილი დღესასწაულია. მთელი 50 წელიწადია რაც ევროპის მოწინავე პროლეტარიატი წითელი დროშით და ბარიკადებით გამოდის ქუჩაში და აღსასრულს უქადის კაპიტალისტურ კულტურას. 20 წელზე მეტია, რაც ახალგაზრდა კაპიტალიზმის ქართველი მუშები ჩაბმულია საერთაშორისო მოძრაობის ფერხულში, და ისიც წითელი დროშით და ბარიკადით იბრძვის კაპიტალიზმის წინააღმდეგ.

პირველი მაისის დღესასწაული, როგორც სოციალისტურ ნებისყოფის აქტი ჩვენი ხალხის ფართო წრეების დღესასწაულია, ჩვენი ხალხის ფართო მასსა თვით სოციალისტური მასსაა და 1 მაისის დღესასწაულიც მისი სიცოცხლის და არსების დღესასწაულია. ამიტომ არის, რომ პირველ მაისის დღესასწაულს ყოველთვის ბრწყინვალედ აგვირგვინებს ქართველი ხალხი. ამ დღესასწაულს ყოველთვის ხელმძღვანელობს პროლეტარიატის პარტია და საქართველოში პირველი მაისს ყოველთვის აწყობდა უმთავრესად მენშევიკების პარტია. პირველ მაისის დღესასწაულს ჩვენში მუდამ მენშევიკური ელფერი ქონდა, ხალხის მცნებაში მაისობა მენშევიკების ძალთა დემონსტრაციასაც ნიშნავდა.

მაგრამ არის საქართველოში მეორე დღესასწაული, უფრო ახალი, ნორჩი, გაცილებით გრანდიოზული თავისი შინაარსით, გაცილებით დიადი თავისი რევოლიუციონური ხასიათით—ეს არის 26 მაისის ეროვნული დღესასწაული, ეროვნული თავისუფლების აქტი, ეროვნული დამოუკიდებლობის დატა.

რამ შექმნა 26 მაისი?—26 მაისი ღვიძლი შვილია რუსეთის რევოლიუციის, 1917 წლის თებერვალში პიტერის მუშების მძლავრი ხელებით თვითმპყრობის დამხობამ წარმოშვა ერების თავისუფლება საზოგადოდ, საქართველოს თავისუფლება კერძოდ. ეროვნული თავისუფლება დაიბადა რევოლიუციით, ის რევოლიუციამ წარმოშვა. მაგრამ რა რა მიმართულება მიიღო რევოლიუციის პროცესში რევოლიუციის პირმშო შვილმა?

მენშევიკები ყოველთვის მესაფლავენი იყვნენ ეროვნული თავისუფლების კერენსკი-წერეთლის დროს როდესაც ხდებოდა რევოლიუციონურ მოძრაობის პროფანაცია, ეროვნული საკითხის წამოყენებაც შეუძლებელი გახდა, ესერების და მენშევიკების ბლოკმა ხუნდები დაადო ყველა განაპირა ქვეყნებს, ერებს და ვერავინ ბედავდა კრინტი დაეძრა ეროვნულ თავისუფლებაზე.

მაშინ, როცა პიტერიდან გამოდევნილი წერეთელი ფრეილინის დარბაზში ეროვნული ალტყინების წინააღმდეგ ბრძოლას აწარმოებდა მთელი ხალხი მას უძახოდა:—ძირს წერეთელი, ძირს მოღალატე!—და სხვა და სხვა. ჩვენს გაზეთში დღეს იბეჭდება აწ. მოუსვენარის მოგონება ამ შესანიშნავ ხანაზე, ამ მოგონებიდან და იმ დროინდელ მენშევიკური პრესიდან ყველა ხედავს თუ რაოდენი წინააღმდეგობა გაუწია მენშევიკობამ ეროვნულ თავისუფლებას.

მენშევიკები რუსეთშიაც და მათი მოღვაწეობის მთელი წლის განმავლობაში რევოლიუციის ხანაში სასტიკად ებრძოდნენ ჩვენს ეროვნულს თავისუფლებას. მაშინ, როცა ისინი ზეიმობდნენ პირველ მაისს, ფეხქვეშ თელავდნენ ეროვნულ საკითხს, რამდენადაც მაისობა იყო მენშევიკური ხასიათისა იმდენად არა მენშევიკური იყო ეროვნული თავისუფლების აქტები.

თვით მეორე დღეს საქართველოს განთავისუფლების აღიარებისას, 27 მაისს მენშევიკური „ერთობა“ სწერდა: „საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოცხადება საგარეო ურთიერთობის ძალდატანებით წარმოიშვა“. აი, მკითხველო, როგორი მოსარჩლე იყო მენშევიკობა საქართველოს დამოუკიდებლობისა. საგარეო ურთიერთობა, ძალდატანება—აი საფუძველნი ეროვნული თავისუფლებისა მენშევიკების შეხედულების მიხედვით. ეს ერთხელ და სამუდამოდ ცხადყოფს ყველასათვის, რომ 26 მაისის აქტსა და მენშევიკების შემოქმედებას შორის არავითარი იდეური კავშირი არ არსებობს, რომ მათ შორის არის საოცარი სივრცის და სიღრმის ზღვარი.

მაგრამ სურათი იცვლება 1919 წლიდან. მენშევიკებმა დაიწყეს 26 მაისის დღესასწაული, ესეც, რასაკვირველია, არა თავისი სურვილით, არამედ ძალდატანებით. ამ დროს ძალის დამტანი იყო არა „საგარეო ურთი-ერთობა“, არამედ თვითონ ქართველი ხალხი, ქართველი ერი სტიქიურად დაეწაფა ამ თავისუფლებას და მენშევიკებმაც დღესასწაულობის მესვეურობა იკისრეს მყისვე, როგორც კი დარწმუნდნენ, რომ ეროვნული თავისუფლება ხალხის გულის უღრმესი საგანძურია.

1921 წელი ქართველი ხალხისათვის შლის ცხოვრების სულ ახალ პირობებს' აღარ არის მენშევიკური მთავრობა და აღარ არის მენშევიკური, სოციალ-დემოკრატიული პარტია. რას ნიშნა ეს? ნიშნავს ეს ეროვნულ დღესასწაულის მოსპობას თუ არა! მენშევიკობის მოსპობა არ ნიშნავს საქართველოს თავისუფლების მოსპობას. მენშევიკობა ძალად ღუპავდა საქართველოს თავისუფლებას და იგი [illegible] მოსცილდა საქართველოს, დარჩა საქართველო, თავისუფალი საქართველოს თავისუფლება სურს იდღესასწაულოს გაცილებით უფრო თავისუფლად, გაცილებით უფრო ბრწყინვალედ, ვიდრე ეს ხდებოდა მენშევიკების ხელში. 1921 წლის 26 მაისი კიდევ ახლად დაამტკიცებს, რომ მენშევიკობასა და 26 მაისის დღესასწაულს შორის არავითარი კავშირი არ არსებობს.

დღეს, საქართველოს საქმეებს განაგებს საქართველოს კომუნისტური პარტია. კომინისტურ და მენშევიკურ პარტიათა შორის ის განსხვავებაა, რომ კომუნისტებმა თავის ბატონობის პროცესში აღიარეს ეროვნული თავისუფლება როგორც უდიდესი რევოლიუციონური ლოზუნგი. მორიგ ნომერში ჩვენ დავბეჭდავთ ამ გაზეთში იმ ძვირფას მასალას, რომელიც რუსული ჩვენი გაზეთის მესამე ნომერში დავბეჭდეთ, სადაც გარკვეულია კომინისტურ პარტიის დამოკიდებულება ეროვნულ საკითხისადმი. აქ ყველა ვხედავთ, რომ კომუნისტებმა ეროვნული თავისუფლება მიიღეს არა ძალდატანებით, არამედ საკუთარის შეგნებით, როგორც ერთი უმთავრესი საშუალება მსოფლიოს კაპიტალიზმის დამხობისა, მსოფლიოს რევოლიუციის გაჩაღებისა.

და მართლაც, რუსეთის რევოლიუციის მთელი სიცოცხლე სავსებით დამოკიდებულია ერების მუშაობასა და ერების ბრძოლაზე. ეროვნული თავისუფლება აერთებს რევოლიუციის დროშასთან მთელი აღმოსავლეთის ერებს და ეროვნული დღესასწაულები უნდა იყოს გაღრმავება და გაფართოება რევოლიუციის ამ ისტორიული პროცესისა.

დღეს პროლეტარიატს ორი დროშა აქვს, ორი დღესასწაული. პირველია მაისობა, მეორე წმინდა ნაციონალური. სოციალისტური და ეროვნული დროშა შეადუღა რუსეთის რევოლიუციამ და 26 მაისს ერთი დიდი საქმის—რევოლიუციის ეროვნული მხარე უნდა ვიდღესასწაულოთ. ეს დღესასწაული ისევე სიმბოლოა ჩვენი მსოფლიო მხედველობისა, როგორც 1 მაისი სიმბოლოა სოციალიზმისა.

ფორმალურად, 26 მაისი ისტორიული მოვლენაა, იგი ქართველ ხალხმა შეიხორცა, ბოლო სახელმწიფოებიც ამ დღეს ულოცავენ ქართველ ხალხს ეროვნულ თავისუფლებას. რუსეთმა, გერმანიამ, შვეიცარიამ, ინგლისმა, შვეციამ, არგენტინამ, ანგორამ, საფრანგეთმა იტალიამ, ყველამ აღიარა ეს ეს დღე როგორც ემბლემა საქართველოს თავისუფლებისა. ამ დღეს ხსენებული სახელმწიფოების ელჩები ულოცავდნენ ჟორდანიას, როგორც საქართველოს სახეობას, ეროვნულს თავისუფლებას.

დღეს აღარ არის ჟორდანია, მაგრამ საქართველო ისევ საქართველოა, სულით მაგარი, მტკიცე, ეროვნულს ნიადაგზე დამდგარი და 26 მაისს საქართველოს ახალმა სახეობამ—მახარაძის მთავრობამ კვლავ უნდა მიიღოს ერების და ქვეყნების წარმომადგენლები საქართველოს თავისუფლების მისალოცად.

1 მაისს ფ. მახარაძე აღლუმზე იძახოდა: გაუმარჯოს საბჭოთა დამოუკიდებელ საქართველოსაო, ჩვენ მასთან ერთად დღეს ვიძახით: გაუმარჯოს საბჭოთა დამოუკიდებელ საქართველოს და 26 მაისის ეროვნულს დღესასწაულს.

თედო ღლონტი.

---

26 მაისი

(ისტორიული მოგონება).

26 მაისი არის უდიდესი, ბრწყინვალე დღე საქართველოს განთავისუფლებისა რუსეთის მონობისაგან; 26 მაისი არის უდიდესი აქტი ხალხის ნებისყოფის გამომჟღავნებისა; 26 მაისი არის სარევოლიუციო დღესასწაული რევოლიუციის საშუალებით განთავისუფლებული ქართველი ხალხისა; 26 მაისი არის დღე, რომლის წინაშეც თავის დაუნებურად, ძალაუნებურად დაიჩოქა მენშევიკობის პარტიამ.

26 მაისი ის დღეა, რომლისთვისაც თავ-გამოდებით იბრძოდა ქართველი ხალხი ათასი წლის ისტორიული ცხოვრებისა—დღე პოლიტიკური თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისა. სოციალ-დემოკრატიული პარტია თავიდანვე ებრძოდა ერთა განთავისუფლების იდეას და აქაც, ჩვენშიაც, უკანასკნელ წუთამდე, წინააღმდეგი იყო საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებისა. მაგრამ მოზღვავებული ხალხის სტიქიამ, რევოლუციის ულმობელმა კანონმა, რომელიც სხვა ლოზუნგებთან ერთად წამოაყენა სრული განთავისუფლება ერებისა და სრული უარყოფა რუსეთის ბატონობისა, რა ფორმაშიაც არ უნდა იბატონოს ეს ბატონობა,—აი ამ კანონმა მორჩილებით ქედი მოახრევინა ჟიუტებს და ქართველი ხალხის განთავისუფლების დროშის წინაშე დაჩოქა.

ჩვენ აზრად არა გვაქვს ამ ბრძოლის მთელი ისტორია გადავშალოთ. გვინდა მხოლოდ მკითხველის მეხსიერებაში აღვადგინოთ სურათი იმ უკვდავი, ისტორიული დღისა, როდესაც პირველად გადაწყდა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება.

—

რუსეთის დიდი რევოლიუციის პროცესში ნელ-ნელა ინგრეოდა ძველი საფუძვლები რუსეთის სახელმწიფოებრივი მთლიანობისა. ჟანდარმული რუსეთი რევოლიუციამ დაანგრია და თან ჩაიტანა მთლიანი რუსეთიც, როგორც პატარა ერების ულმობელი სისხლის მსმელი და მოჯალაჯუნა. დამსხვრეული აპარატი ჟანდარმული რუსეთისა აღარ არსებობდა, მის ნაცვლად ფრიალებდა წითელი დროშა რევოლიუციისა, რომელიც პატარა ერებს აძლევდა არა მარტო უფლებას, არამედ პოლიტიკური განთავისუფლების საშუალებასაც.

მთლიანი რუსეთის რღვევის პროცესი გიგანტური ნაბიჯებით მიდიოდა. ჩვენში ამ რღვევამ ორი ეტაპი განვლო. ჯერ ამიერ-კავკასია ჩამოშორდა რუსეთს, მერე—საქართველომ გამოაცხადა თავისი დამოუკიდებლობა, რომელიც დღეს იურიდიულად ცნობილია მთელი ქვეყნიერების მიერ. იგი ცნობილია საბჭოთა რუსეთისა და დასავლეთ ევროპის ყველა დიდი სახელმწიფოების მიერ.

როგორც ზევითაცა ვსთქვით, მენშევიკების პარტია უკანასკნელ წუთამდე არავითარ ყურადღებას არ აქცევდა რევოლუციის ამ მხარეს და საერთო ნგრევისა და რღვევის ხანაში, როდესაც საძირკველი უნდა ჩაჰყროდა ახალი ცხოვრების შენობას, უმწეოდ მისტიროდა მთლიანი რუსეთის გაცვეთილსა და არსებითად ჟანდარმულ იდეოლოგიას.

მაგრამ ხალხის ნების ყოფამ, რომლის ჩაკვლაც ვერ შესძლო ვერც რუსეთის ასი წლის ბატონობამ საქართველოში, ვერც მენშევიკების ჯიუტობამ, აიძულა ისინი დაემორჩილებოდნენ რუსეთის რევოლიუციის ბრძანებას და აეფრიალებინათ დროშა საქართველოს განთავისუფლებისა. მთელი ეს სურათი ნათლად გადაიშალა იმ ისტორიულ სხდომაზე, რომელიც ეროვნულმა საბჭომ გამართა ფრეილინის ქუჩაზე, რომელიც უკვდავი მნიშვნელობის დღედ დარჩება საქართველოს ისტორიაში.

—

სოციალისტ-ფედერალისტთა ფრაქცია ძალიან კარგად ჰხედავდა, რომ ეგრედწოდებული ამიერ-კავკასიის რესპუბლიკა და მისი ხერხემალი დასუსტებული სეიმი ყოვლად უდღეო ორგანიზაცია იყო. ამიტომ ეროვნულ საბჭოში იგი აწარმოებდა ისეთს პოლიტიკას, რომელიც სავსებით ამიერ-კავკასიის ხელოვნური ხუხულის დარღვევისა და დანგრევისაკენ იყო მიმართული. ამ ხელოვნურ ხუხულას სოციალისტ-ფედერალისტთა პარტია უპირისპირებდა საქართველოს დამოუკიდებლობას, საქართველოს თავისუფლებას და საქართველოს სახელმწიფოებრივობას.

1918 წლის მარტის 10 სოციალისტ-ფედერალისტთა ფრაქციამ ეროვნულ საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს წარუდგინა დეკლარაცია, რომელშიაც იგი საქართველოს მთავრობის შედგენასა და საქართველოს ტერიტორიაზე მთელი ძალა უფლების ხელში ჩაგდებას მოითხოვდა. *)

მიუხედავად ამ დეკლარაციის წარდგენისა, მიუხედავად იმისა, რომ ქართველი ხალხის მთელი მოწინავე ნაწილი ჰბორგავდა და სოციალ-დემოკრატებისაგან განსაზღვრული ნაბიჯის გადადგმას მოითხოვდა, ეროვნ. საბჭო მაინც, მენშევიკების მორჩილი იარაღი, გაჩუმებული იყო და ქართველი ხალხის, მისი მიწა-წყლის ერთად ერთ პატრონად მუსავათ—დაშნაკცუთუნ და მენშევიკებისაგან შემდგარი სეიმი იყო გამოცხადებული. პრესა განგაშსა სცემდა, იგერიში მიჰქონდა მენშევიკებზე. აი რასა ვკითხულობთ, მაგალითად, იმ დროს თ. ღლონტის ერთ წერილში: „საქართველოს სახელმწიფოებრივ თვითმოქმედობის წინააღმდეგ დღემდე ძველი მთავრობა იყო—ეს საყოველთაო ჭეშმარიტება-, მაგრამ ასეთივე ჭეშმარიტებაა, რომ ასეთ თვითმოქმედებას რევოლიუციონური მთავრობაც ეწინააღმდეგება. ჩვენში პირველი დაუძინებელი მტერი ერის თვითმოქმედებისა იყო და არის ჩვენივე სოციალ-დემოკრატია და სწორეთ ასეთი სიძულვილია პირობა შემდეგ ფაქტისა: სოციალ-დემოკრატია მთავრობაში ცენტრში მოქმედობს და ფხიზლობს, ხოლო იგივე სოციალ-დემოკრატია ეროვნულ ნიადაგზე, ეროვნულ საბჭოში—მკვდარია და უსიცოცხლო... დღევანდელი მთავრობა (ე. ი. ამიერ-კავკასიის სეიმი) ისტორიული გაუგებრობაა და ეროვნული უბედურებაა, ის ისე არ ეკარება ცხოვრების სინამდვილეს, როგორც ცის გული დედამიწის ქვესკნელს. და თუ ეს პოლიტიკური ქიმერა და ავანტიურისტული ფანტაზია კვლავ ასე დარჩა—ჩვენ ერის ღალატისით ვღალატდებით! დავიღუპებით, მოვისპობით! გესმით?! დავიღუპებით!.. დავღუპეთ ეროვნული საბჭო, მაგრამ ვიცოდეთ მაინც, ეს ერის და ჩვენი არსებობის დაღუპვაც არის იცოდეთ ეს, გახსოვდეთ ეს და ამ ფიქრების წინაშე კვლავ იარსებოთ ამაყად, ლაღად, უდარდელად ამიერ-კავკასიის ცენტრის და მენშევიკ-მუსავატ-დაშნაკცუთუნის სარეცელზე“.

იბეჭდება კიდევ მრავალი სხვა წერილები, რომლებშიაც კატეგორიულად იყო მოთხოვნილი, რათა ეროვნულ საბჭოს ძალა-უფლება საქართველოში დაუყოვნებლივ ხელში ჩაეგდო. 18 მარტს უკვე გაიმართა ეროვნულ საბჭოს სხდო-

---

*) დეკლარაცია მოთავსებული იქნება ხვალინდელ ნომერში. რედ.

მა, რომელზედაც ნ. ჟორდანიამ განაცხადა 19 თებერვლიდან საბჭოს სხდომა არა ჰქონიაო. ამ სხდომაზე შ. ნუცუბიძემ ფრაქციის ს ხელით პროტესტი განაცხადა იმის გამო, რომ სოციალისტ-ფედერალისტთა მიერ წარდგენილი დეკლარაცია დღიურ წესრიგში არ შეიტანეს, თ. ღლონტმა მოითხოვა საქართველოს მთავრობის შედგენა, ხოლო გრ. რცხილაძემ წარმოსთქვა ვრცელი, დასაბუთებული სიტყვა, რომელშიაც საქართველოს მთავრობის შედგენა მოითხოვა. ს. რამიშვილმა და განსაკუთრებით კი ირ. წერეთელმა მაშინ საქართველოს დამოუკიდებლობის საწინააღმდეგო სიტყვები წარმოსთქვეს.

სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგობამ და საერთო გართულებულმა პოლიტიკურმა პირობებმა ქართველ ხალხს ნერვები დაუჭიმა და უდიდესი ასაფეთქებელი მასალა დაამზადა. პროტესტმა აშკარა ხასიათი მიიღო ეროვნულ საბჭოს იმ სხდომაზე, რომელიც 26 მაისის აქტის ერთი თუ ორი დღით წინად გაიმართა.

გოლოვინის ქუჩას ზღვა ხალხი მიაწყდა, ყველა აღელვებულია, ყველას ნერვები დაჭიმული აქვს, ეროვნულ საბჭოს დარბაზს იცავს სოც.-ფედერალისტთა მოხალისეების რაზმი, უნდა გადასწყდეს საკითხი საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებისა. მოზღვავებული ხალხი სულ-განაბული უსმენს ყოველ სიტყვას. სიტყვას იღებს ირ. წერეთელი. 21 მარტის სხდომის შემდეგ ხალხმა იცის, რომ ირ. წერეთელი საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების წინააღმდეგია. დგება თუ არა წერეთელი, ხალხში გუგუნი იწყება, უცბად გაისმის ვიღაცის მქუხარე ხმა: „ძირს მოღალატე". ამ ხმას უერთდება მთელი დამსწრე ხალხის ყვირილი: „გააგდეთ მოღალატე! არ ალაპარაკოთ სამშობლოს გამყიდველი, ძირს მოღალატე!"

რევოლიუციონურმა ქუჩამ საშინელი პროტესტით მიმართა იმას, ვინც საქართველოს დამოუკიდებლობის მტრად იჩინდა. რუსეთის რევოლიუციის ტრიბუნმა ირ. წერეთელმა აქ, ჩვენში იქნება პირველად მოისმინა საშინელი მსჯავრი ქართველ ხალხისა, რომელიც ყველაფერს მოითმენს, ყველაფერს აპატიებს, მაგრამ სამშობლოს მოღალატეს მაინც სამარცხვინო ბოძზე გააკრავს. ამ ისტორიულ მომენტში ირ. წერეთელს წინააღმდეგობაში ხალხმა, რომელიც რევოლიუციონურად შეიჭრა ეროვნულ საბჭოში, საქართველოს ღალატი დაინახა და ეს თავისი გრძნობები გამოხატა გრანდიოზული დემონსტრაციით, რომლის გრანდიოზობაც სწორედ დემონსტრაციის შინაგან სიძლიერეში იყო.

გადაფითრებული ირ. წერეთელი გაჩუმდა. გადაფითრებული ნ. ჟორდანია წამოდგა, ნერვიულად ხელი წაავლო თავმჯდომარის ზარს, მაგრამ ბრბოს გუგუნი და ყვირილი შეუძლებლად ჰხდიდა საბჭოს ნორმალური მუშაობის გაგრძელებას. ყველა ფრაქციის წარმომადგენელმა სათითაოდ მიჰმართა თავიანთ პარტიულ ამხანაგებს დაეტოვებინათ დარბაზი და საშუალება მიეცათ ეროვნული საბჭოსთვის დამშვიდებით გადაეწყვიტათ ესოდენ დიდმნიშვნელოვანი საკითხი, მაგრამ აღშფოთებული ბრბოსაგან მხოლოდ ერთი ძახილი ისმოდა: „ძირს მოღალატე! გააგდეთ მოღალატე!" ნ. ჟორდანიამ კრება დახურულად გამოაცხადა.

მეორე დღეს ეროვნული საბჭო ისევ შეიკრიბა. აღმასრულებელმა კომიტეტმა ითათბირა და გადაწყვიტა, გამოეცხადებინა საქართველოს დამოუკიდებლობა, ეს გადაწყვეტილება გამოუცხადეს ეროვნულ საბჭოს და მოზღვავებულ ხალხს, რომლებმაც უკამათოდ და სიხარულის ცრემლებით, ოვაციებით მიიღეს აქტი საქართველოს განთავისუფლებისა რუსეთის მონობისაგან.

—

ამ რიგად, სოციალ-დემოკრატები იძულებული გახდნენ ხალხის ნებისყოფისთვის ანგარიში გაეწიათ და ქედი მოეხარათ ნაციონალური თავისუფლების დროშის წინაშე, იმ ნაციონალური თავისუფლებისა, რომელიც რუსეთის დიდი რევოლიუციის ერთი უდიდესი ლოზუნგთაგანი იყო და არის. პირველ ხანებში მენშევიკების ეს დიდ უბედურებათ მიაჩნდათ მათ გონებაში ჯერ ცოცხალი იყო იდეა მთლიანი, განუყოფელი რუსეთისა; პოლიტიკურსა და პარტიულ წრეებში ამბობდნენ კიდეც, თითქოს ნ. ჟორდანიას ეთქვას, მე წინააღმდეგი ვარ საქართველოს დამოუკიდებლობის, ხოლო თუ ხალხი ამას თხოულობს, მე ამის წინააღმდეგ არ წავალ, ხელს არ შევუშლითო. ნ. ჟორდანია მალე გამოვიდა ამ პასიური მდგომარეობიდან და საქართველოს დამოუკიდებლობის აქტიური დამცველი გახდა.

ამ რიგად, 26 მაისი უდიდესი აქტია ხალხის ნებისყოფის გამომჟღავნებისა, იმ ნებისყოფისა, რომლის წინაშეც სოციალ-დემოკრატიამ ძალაუნებურად დაიჩოქა. ამის საუკეთესო ილუსტრაციას წარმოადგენს მენშევიკების ბატონობის სამის წლის ისტორია ხალხის შემეცნებაში მენშევიკების პარტია და მენშევიკების მთავრობა ნაციონალური თავისუფლების დამცველ პარტიად და მთავრობად გადაიქცა.

მენშევიკების დაცემა ნაციონალური თავისუფლების დაკარგვის სახით აღიბეჭდა ხალხის ფართო მასაში, რომელიც თავის წმინდათა-წმინდას, გამოხატულს 26 მაისის აქტში, შელახულად და შებღალულად სთვლის. საჭიროა ისტორიული სიმართლე აღსდგეს, უდიდესი აქტი ქართველი ხალხის ნებისყოფისა მენშევიკებს ჩამოსცილდეს და მენშევიკები კი — ამ ნების ყოფის აქტს.

ამიტომ დღესაც, ახალი პოლიტიკური სიტუაციაში, ჩვენ თამამად და გაბედულად ვეუბნებით მთელ ქართველ ხალხს:

გაუმარჯოს 26 მაისს!

გაუმარჯოს ასის წლის მონობისაგან განთავისუფლებულ ჩვენს ტურფა საქართველოს!

მოუხვენარი.

საზღვრების წაშლა

გრუზკავრომსტის გადმოცემით ამხ. ნარიმანოვს განუცხადებია ერთ-ერთ კრებაზე, რომ კომუნიზმის წყალობით წაიშალა საზღვრები ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების შორისო. უნდა ვიფიქროთ რომ ეს მართლაც თქმულა, რადგან ამას აქვეყნებს ოფიციალური წყარო.

ეს განცხადება პირდაპირ გაუგებარია. რას ნიშნავს საზღვრების წაშლა ამიერ კავკასიის რესპუბლიკების შორის? სად სწერია, ან ვინ დაამტკიცა, რომ კომუნიზმი და სახელმწიფოების საზღვრების წაშლა ერთი და იგივეა. საქართველო დამოუკიდებელი სახელმწიფოა და როგორც ასეთს მას აქვს და მომავალშიაც უნდა ჰქონდეს ყველა ნიშანი დამოუკიდებელ სახელმწიფოისა. ენა, ტერიტორია, საზღვრები და სხვ. რას ნიშნავს სახელმწიფო, რომელსაც საზღვარი არ აქვს. კომუნისტური მოძრაობა რუსეთში უფრო მძლავრია და განა აქედან გამომდინარეობს, რომ რუსეთის სახელმწიფოებრივი საზღვრები უნდა წაიშალოს?

საზღვარი ორმაგი ცნებაა, მას ორი მხარე აქვს: ერთი, რომელიც შენ განსაზღვრავს სხვისაგან და მეორე, რომელიც სხვას საზღვრავს შენგან. როდესაც საზღვრების მოშლაზე ლაპარაკი გაურკვეველია რომელ საზღვრების გაუქმებას უკავშირებს კომუნიზმს ამხ. ნარიმანოვი. რუსეთმა დიდი ძალა შეალია თავის საზღვრების დაცვას და ეს ბრძოლა კომუნიზმის დროშის ქვეშ ხდებოდა. წარმოვიდგინოთ კომუნისტურმა წყობილებამ გაიმარჯვა გერმანიაში განა ეს გამოიწვევს რუსეთის მიერ საზღვრების მოშლას? რა კავშირია კომუნიზმსა და საზღვრების წაშლის შუა. სახელმწიფო ჰაერში გამოკიდებული ხომ არაა, ის გარკვეულ ტერიტორიაზე არსებობს და სხვა გვარად არც შეიძლება არსებობდეს.

კერძოდ ჩვენში—ამიერ-კავკასიაში საზღვრების წაშლას დიდი ხანია დამცველები ჰყავს, მაგრამ ისინი რეაქციონურ და კონტრ-რევოლიუციონურ წრეებიდან გამოდიოდნენ. ერთის მხრივ რუსიფიკატორი მოხელეები იბრძოდნენ ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების საზღვრების წასაშლელად, მეორეს მხრივ სომხის ბურჟუაზია ოცნებობდა მთლიან ამიერ-კავკასიის აღდგენაზე, რომ ტფილისი ამიერ-კავკასიის დედა-ქალაქად გამოეცხადებინათ და იქ კვლავ შოვინისტურ პოლიტიკის შტაბი გაემართათ.

სამწუხაროა, რომ ეს ძველი ლოზუნგი დღეს კომუნისტურ წრეებშიაც გასავალს ჰპოულობს. ჩვენ ვფიქრობთ რომ ეს საბედისწერო შეცდომაა თუ აქ გრუზკავროსტას ჩვეულებრივ ინფორმაციასთან გვაქვს საქმე. გულწრფელ კომუნისტს შეუძლია შესცდეს ამ საკითხში. მაგრამ ის ვინც ამ შეცდომას თავის საქმის გამოსარკვევად სთვლის საჯაროდ არ მალავს თავის სიხარულს. რა თქმა უნდა, კომუნიზმთან არაფრით არაა დაკავშირებული და მხოლოდ მდგომარეობით სარგებლობს თავისი ბნელი საქმის გასაკეთებლად.

ამას ყურადღება უნდა მიექცეს. ამიერ კავკასიის რესპუბლიკების საზღვრების არსებობა ეროვნულ თვით გამორკვევის სიმბოლოა, საზღვრების წაშლა თვით გამორკვევის წაშლაცაა. ხვალ ზეგ ასრულდება ერთი წელი, რაც რუსეთმა სცნო საქართველოს დამოუკიდებლობა გარკვეულ საზღვრებით; დღეს საზღვრების წაშლაზე ლაპარაკი რაშია საქმე?

შ. ნ.

1-ლი მაისი ტფილისში

[illegible] შთაბეჭდილება.

1-ლ მაისის დღემ ტფილისში მუშათათვის არაჩვეულებრივად ჩაიარა. აპრილის უკანასკნელ დღეებში ქალაქი გაცხარებით ემზადებოდა ამ დღესასწაულისათვის. ნაადრევი დილა თვალს [illegible] ყოველივე [illegible]. დამთავრებული სურათი მხატვრის უკანასკნელ მეცადინეობას. ქალაქი იღვიძებს ჩვეულებრივზედ ადრე. ყველა ჩქარობს გამოეწყოს გაოგნებულად სადღესასწაულო სახით, რათა ეზიარონ დიად პროლეტარულ დღესასწაულს. საგრძნობი ღელვა და გამოურკვეველი თრთოლვაა. დილის 7 საათისათვის ხალხის დიდი ჯგუფები უკვე აგეშურებიან ქალაქის ცენტრალურ პუნქტებისაკენ, ე. ი. იმ ადგილებისაკენ, სადაც უნდა გაიმართოს სადღესასწაულო ზეიმი. [illegible] კოლონებით მიდიან საბჭოთა ნაწილები, პროფკავშირები და ორგანიზაციები. სახლების აივნები ლამაზად მორთულია ხალიჩებით, დროშებით, გირლიანდებით და მარად მწვანე მცენარეულობით. [illegible] მორთული ალლეგორიულ ემბლემებით მუშა-გლეხთა ხელისუფლებისა. ქუჩებზე გამოჩნდნენ შეიარაღებული ავტომობილები, კარნავალები, სტუდენტების გრძელი რიგი წითელ დროშებით. ქალაქს ჯერ არ უნახავს ასეთ საზეიმო სურათი, მაგრამ უკვე გრძნობს, რომ 1-ლი მაისი — ერთი საერთაშორისო დღესასწაულთაგანია როგორც მუშებისათვის, აგრეთვე იმავე [illegible] დღესასწაული საგაზაფხულო აღორძინებისა. დღესასწაული მოდის, ხოლო [illegible] პირველ მაისობის დღესასწაული. ტფილისის [illegible] არ უნახავს ჯერ ამნაირი სასიხარულო [illegible] მუშათა და ჯარების აღფრთოვანებით და ეს საყოველთაო [illegible], როგორც განსაკუთრებით მუშები თავის პირველ მაისის დღესასწაულის დღეს. ეს დღესასწაული არ იყო დღესასწაული ჩვეულებრივი ხასიათისა, ოფიციალური [illegible]. არ იყო ჩვეულებრივი სვლა რომელიც იწყება სასტიკად დასახულ გეგმით და თავდება განსაზღვრულ პუნქტში. თვით მუშების და ჯარების მასა [illegible] მონაწილეობა [illegible], როგორც დილით, აგრეთვე საღამოთი, ყველა გაერთიანდა: მუშები, გლეხები, [illegible], [illegible], [illegible]. პირველ მაისის დღე ტფილისში იყო [illegible] ხალხური დღესასწაული. ამ დღეს მუშებმა დაინახეს, რომ მუშა-გლეხთა ხელისუფლება, ნამდვილად არის ხელისუფლება მუშების და გლეხებისა, ხელისუფლება შექმნილი თვით მუშათა და გლეხთა მიერ, გამომდინარე ხალხის შეგნების ულრმეს წიაღიდან, ხელისუფლება სახალხო სიმდიდრისა, ვინაიდან ამ ხელისუფლების მეთაურებად არიან თვით მუშები და გლეხები.

წითელ ცეცხლის გამარჯვება.

ზეიმი ტფილისში დაიწყო უკვე 30 აპრილიდან, ღამით და გადავიდა პირველ მაისზე. დაიწყო ეს ზეიმი ალლეგორიულ შეჯიბრებით ორ ცეცხლს შუა —წითლისა და თეთრისა, მამადავითის წვერზე, რომელიც ჰფლობს მთელს ქალაქს და მის მიდამოებს ეს ლამაზი მხატვრობითი და გონივრულად მოწყობილი შეჯიბრება, ბრძოლა ძველ ქვეყნისა ახალთან, ბრძოლამ ორი ცეცხლისა თეთრის და წითლისა მიიღო ფორმა ნამდვილ ომისა. დროგამოშვებით იფეთქებდა ხოლმე თეთრი და წითელი ცეცხლი, შუშხუნები, პიროტექნიკურმა ეფექტმა დაგვანახვა, თუ როგორ გაიმარჯვა წითელმა სასტიკ ბრძოლის შემდეგ. ჯერ თავიდანვე სუსტმა, მაგრამ შემდეგ ნახევარ მსოფლიოს დამპყრობელმა. ასე მუშები და ტფილისის მოსახლეობა 30 აპრილის ღამის 12 საათზე 1-ლ მაისისათვის იყო მომზადებული პირველ მაისობის დღესასწაულისათვის—გაზაფხულის დღესასწაულისათვის, ბუნების და შრომის აღორძინებისათვის.

ხანგრძლივი უფერული და წვიმიანი დღეები შეიცვალნენ 30 აპრილის და 1 მაისის წყნარ და მოწმენდილ დღეებით. დაღლილობის მიუხედავათ მუშები ქუჩაში იყვნენ და ინტერესით ადევნებდნენ თვალყურს ორ მსოფლიოს შორის ბრძოლას და აღტაცებით შეხვდნენ რევოლიუციონურ ცეცხლის გამარჯვებას. ძველი ქვეყანა, ამბობდნენ მუშები, იბრძვის თავის არსებობისთვის. იგი ჯიუტობს და არ უნდა თავის პოზიციების დათმობა. მაგრამ მისი დღეები დათვლილია. ისტორიის ხელმა უკვე გამოსახა საბედისწერო სიტყვები: „მენე ტეკელ, ფარეს" უკანასკნელ მომენტში ცაში აუშვეს კაშკაშა წითელი შუშხუნები, რომლებმაც გაანათეს მთელი ქალაქი, სასიამოვნო წითელი ფერით, გამარჯვების ფერით. გზა მიეცით ახალს ქვეყანას.

გათენდა გვიმცნო ნათელი მზიანი დღე. ამინდმა თავისი ძველი და სინესტით გაჟღენთილი პოზიციები დაუთმო პირველ მაისის მზე და მისი სახე დილიდანვე ნათელი, ხიაოული და გამარჯვებულ-[illegible] იყო.

ქართველი ხალხი, [illegible] მოაზროვნე, ამბობდა: ეს თამამოს. ამ მზე, ამ ნათელმა, მოწმენდილმა და თბილმა დილამ [illegible] მუშების და ჯარების [illegible] სიხარული.

ამხ. ნარიმანოვის შეხვედრა.

ორი დღით ადრე 1 მაისამდე იცოდნენ, რომ ტფილისში ჩამოვიდოდა საგანგებოთ პირველ მაისის დღესასწაულის შესახვედრად აზრბეიჯანის თავმჯდომარე ამხ. ნარიმანოვი. ნარიმანოვის საზეიმო შეხვედრას სადგურზე, [illegible] დღესასწაულის დაწყება. დილის 10 საათისთვის სადგურის მთელი მოედანი გაივსო ცხენოსანთა ჯარების მეყოფანი რიგებით და მუშათა ორგანიზაციებით [illegible]. ხალხის თავებზე, საშინელი ნათელ მზის სხივების ქვეშ, ფრიალებენ წითელი დროშები და პლაკატები. სადგურისაკენ მიმავალი ყველა ქუჩა სავსე ხალხით ბალკონებზე, ქუდებზე, თოფებზე ყველას წითელი ნიშნები აქვთ. ბევრს ცოცხალი ყვავილიც აქვთ, რომლებიც ასე ჰარმონიულად შეეფერება საერთო გაზაფხულის განწყობილებას. 9 ს. და 45 წ-ზე სადგურის სადღესასწაულო ოთახებში ამხ. ნარიმანოვის შესახვედრად შეიკრიბნენ საქართველოს რევკომის თავმჯდომარე ამხ. მდივანი, ამხ. ორახელაშვილი, ელიავა, ცინცაძე, დოლიძე, საქართველოს ჯარების სარდალი, აზერბეიჯანის მისიის წევრნი და ბევრი სხვა.

ამავე დროისთვის სადგურის მოედანს მოადგა საკარნავალო პროცესია, რომელიც [illegible], ოქროს [illegible], რომელსაც თაყვანსა სცემდა [illegible] და ალლეგორიული სურათი [illegible].

11 საათის დასაწყისზე სადგურის დებაკადერს დინჯად მოადგა საგანგებო მატარებელი. ვაგონებიდან გამოვიდნენ აზერბეიჯანის რევკომის თავმჯდომარე ამხ. ნარიმანოვი, აზერბეიჯანის სამხედრო კომისარი ამხ. კარაევი, ამხ. ორჯონიკიძე და აღმოსავლეთში პროპაგანდის საბჭოს დელეგაცია ამხ. ნარტუბეკოვი, ჯურაბაევი, ხოჯაევი, ოსტროვსკი, ჯაფარ-ზადე რამზანოვი.

სადგურის მოედანზე

ურთიერთი მისალმების შემდეგ სტუმრები და საქართველოს მთავრობის წევრნი ამხ. ნარიმანოვის და მახარაძის მეთაურობით გამოვიდნენ მოედანზე, სადაც მათ დიდის აღფრთოვანებით და სიხარულით მიესალმა ჯარების პირველი ხაზი. უპასუხეს რა ჯარებს მოკლე მისალმებით, მთავრობის წარმომადგენელნი გაემართნენ საკარნავალო პროცესიისკენ, სადაც მათ შეხვდნენ შემდეგი მისალმებით, [illegible] აზერბეიჯანის [illegible] მეთაურის ამხ. ნ. [illegible] 1 მაისი [illegible] წითელს აზერბეიჯანს, დიდება ბაქოს პროლეტარიატს

რუსეთის შემდეგ ცეცხლებრივ ტურბახში
ბრძოლითა ადგა აზერბეიჯანი.
აპრილი დადგა. აჯანყებაში
მუშებმა ჰპოვეს მძლე გასაქანი.
დიდება წითელს აზერბეიჯანს,
ვაშა შენს ბელადთ აღმოსავლეთის
გამარჯვების წამს ძალღონით ძლიერს.
გამარჯვების წამს. მჭიდრო მწყობრადო.
თავისუფლების მფრინავი ფრთებით,
საზიარული ძალების ქებით
დიდება წითელს აზერბეიჯანს,
დიდება ბაქოს პროლეტარიატს.
ეხლა შენთან არის დროშები წითლად
საქართველოსი, მძლე ბედ ბეჯითად
და შენთან ერთად მიიწევს ძლევამოსილ
კომუნისტებთან ბრწყინვალე ერთ გზად
ვაშა წითელო აზერბეიჯანო,
ვაშა შენს ბელადთ აღმოსავლეთო.

როგორც კი მოთავდა უკანასკნელი სიტყვები მიძღვნილი ლექსისა, გრუზკავრომსტას მიერ მოწყობილმა ორკესტრმა და ხორომ („სტირ-ეგიტის" [illegible]) სამჯერ შეასრულა „ინტერნაციონალი" ჰიმნის მძლავრ ხმებს მუშათა თვით ხალხი აჰყვა და ჰაერში ისმოდა სიხარულისა და შრომის გამარჯვების ჰანგები, ხმები.

რკინის გზელთა მისალმება.

ინტერნაციონალის შემდეგ რკინის გზელებმა უეცარი ანაზდეული სიურპრიზი მოაწყვეს. განსაზღვრულ მომენტში წინასწარ განსაზღვრულ ვაგზალზე, ორთქლმავლების სტვენის სიმფონია დაიწყო. დეპოს [illegible] ორთქლმავალი, რომელთაც საყვირებმა შეასრულეს საზეიმო ჰიმნი. [illegible] ორთქლმავლების საყვირები აჰყვა შორეულადაც და ჰაერში დიდ ხანს ხალხის მასისა, ყველა მუშათა ორგანიზაციების ზევით მაღლა ჰაერში ძლევამოსილი ისმოდა ეს სიმფონია.

პროცესიის დასაწყისი.

პირველ მისალმებათა შემდეგ სადგურის მოედანზე დაიწყო სვლა. წინ მიდიოდა საკარნავალო ჯგუფი, კარნავალის დაწყებამდე ერთმა მონაწილეთაგანმა მუშათა მასაში გადაისროლა შემდეგი წინასიტყვაობა (პროლოგი), რომელიც გრუზკავრომსტას მიერ იყო გადაცემული:

ამხანაგებო და მოქალაქენო თავისუფალ საქართველოსი, თქვენ ბედნიერებით და თავისუფლებით წინაშე, გეძლევათ სურათები [illegible] თქვენი ბედნიერებისა და თავისუფლებისთვის.

ეს ბედნიერება, ეს თავისუფლება, არის ნაყიდი სისხლის ფასი ტანჯვისა და [illegible]. ყოველი ნაკვალევი [illegible] არის მოპოვებული თავისუფლებისთვის მებრძოლთა ოფლით და სისხლით. მაგრამ ბრძოლისა და ტანჯვის სურათებთან ერთად თქვენ იხილავთ გამარჯვების სილამაზესაც. [illegible] შექმნეს გამარჯვებულ სილამაზეს შრომისას, რომელთაც გახდა მსოფლიო [illegible].

ახალი ამბები

— კოწია გამსახურდიას მოხსენება. ხუთშაბათს, მაისის 5 ს საღამოს 7 საათზე საქართველოს მასწავლებელთა სახლში (ყოფილ ქართულ კლუბის დარბაზში) შესდგება საქართველოს საისტორიო საეთნოგრაფიო საზოგადოების მორიგი სხდომა, რომელზედაც კოწია გამსახურდია წაიკითხავს მოხსენებას: „იტალიის რენესანსის მნიშვნელობა ევროპის კულტურის ისტორიისათვის".

— ავტო-ავტო. პირველ მაისს დიდ ეფექტს ახდენდა კარნავალი, რომლის მოწყობაშიც მონაწილეობა მიიღეს მრავალ უცხო ძალებმა—„გრუზკავრომსტამ" დიდი [illegible] და სიდიდრე დახარჯა რომ ახალი რამ ეჩვენებინათ თბილისისათვის, მაგრამ მაინც ქართველ მხატვართაგან მოწყობილი ავტომობილი „ავტო-ავტო" პოლიტიკურ განათლების [illegible] შეკვეთილი განკუთვნებულ ყურადღების საგნად დარჩა.

რედაქტორი თედო ღლონტი.
გამომცემი დრ. [illegible] კომიტეტისა.

დაჰკარგა მაისის 2 სახელმწიფო უნივერსიტეტიდან მოცემული პირადობის მოწმობა № 675. ივანე ნიკოლოზის ძე ხომასურიძის სახელზე გთხოვთ დღეიდან იგი გაუქმებული იქნეს. 930

გადატრიალების დროს დაჰკარგა სახელმწიფო უნივერსიტეტიდან მოცემული პირადობის მოწმობა ტარასი ონისიმეს ძე ნიკოლაიშვილის სახელზე გთხოვთ გაუქმებულად ჩათვალოთ. 931